

EU-ERASMUS+INTEGRITU პროექტის შესახებ:

2017 წლის 15 ოქტომბრიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კოორდინატორობით ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი EU-ERASMUS+INTEGRITU- „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში“, სადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ-ერთ პარტნიორ უნივერსიტეტს საქართველოს 11 უსდ-ს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და 4 ევროპულ უნივერსიტეტებს(დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ირლანდია, ავსტრია) შორის.

პროექტის მიზანი:

აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე დამყარებული სწავლისა და სწავლების პროცესში ხარისხის გაძლიერება, რომელიც გამყარებული უნდა იქნეს ინსტიტუციის პოლიტიკით, შესაბამისი მექანიზმებით და საშუალებებით, რაც ინსტიტუციას ეხმარება პლაგიატის შემთხვევების პრევენციასა და აღმოჩენაში.

ძირითადი მიმართულებები:

- სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- აკადემიური კეთილსინდისიერება და დამხმარე სერვისები;
- პოლიტიკა და პლაგიატის აღმოჩენა/პრევენციის მექანიზმები.



სტუდენტთა საყურადღებოდ!

მიმდინარე სასწავლო წლიდან იწყება აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზება:



აკადემიური წერის მოდერნიზებული კურსი, ან ცალკეული ტრენინგ/მოდულები, სადაც შესაძლებლობა მოგეცემათ შეისწავლოთ როგორ მოამზადოთ სამეცნიერო სტატია, აბსტრაქტი, წყაროების გამოყენება და სხვა; MOODLE-TURNITIN-ის პროგრამის გამოყენებით მოხდება თქვენი ნაშრომის(რეფერატი, ესსე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები, სხვადასხვა ტიპის წერიტი დავალებები) ატვირთვა და პლაგიატზე შემოწმება, რაც სავალდებულო ხდება ყველა სტუდენტისათვის.

რეკომენდაციები სტუდენტებს!

წერე აკადემიურად! გაუფრთხილდით უნივერსიტეტის რეიტინგს და დაიცავით თქვენი და სხვისი უფლებები!

პლაგიატი არის—

მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება.

ყველაზე ხშირად პლაგიატი გამოიხატება სხვისი თხზულების, ან იდეის პუბლიკაციაში საკუთარი სახელით, ასევე სხვისი თხზულების ფრაგმენტების სესხებაში, წყაროს მითითების გარეშე.



როგორ ავიცილოთ პლაგიატი?

- * ყოველთვის მკაფიოდ გამოყავით წყაროდან მოტანილი ციტატები, იდეები და ბრჭყალებში ჩასვით;
- * არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე, მიუხედავად იმისა, მასალა ღიაა, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ არა, თქვენ მაინც ვალდებული ხართ მითითებით წყარო;
- * მიუთითეთ ნებისმიერი ისეთი მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ;
- * არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან ისე მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა ორიგინალად ჩათვალოს.



პლაგიატის მაგალითი:

- თუ ნებისმიერი სხვა ადამიანის იდეებს იყენებთ და არ დაასახელებთ წყარო;
- თუ თქვენს ნაშრომში ბუნდოვნად ჩანს, როგორ გამოიყენეთ ესა თუ ის წყარო და ისე შეცვალეთ მისი მოტანის ფორმა, რომ ეს სრულიად ცალსახად გაუგებარი გახდეს;
- წერილობითი ნაშრომის შესრულებისას, თუ ვინმე დაგეხმარათ, არ მოიხსენიეთ ის და არ დააფასეთ მისი წვლილი



რატომ უნდა ვებრძოლოთ პლაგიატს:

- პლაგიატის გამოყენებით ირღვევა აკადემიური მთლიანობა;
- ჩერდება ინტელექტუალური ზრდა;
- კონკრეტულ საკითხზე იკარგება საკუთარი აზრი და ანალიზი.



როდესაც წერილობით ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება სათანადო წესების დაცვით ხორციელდება, მაშინ სრულიად შესაძლებელია პლაგიატისგან თავის არიდება.



გახდი შემოქმედი, შენი შემოქმედების !!!
გისურვებთ წარმატებას !

ისარგებლე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით



www.sjuni.edu.ge



ელექტრონული კატალოგი
openbiblio
<http://sjuni.edu.ge/openbiblio>


საერთაშორისო
ელექტრონული ბაზები



Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი



X Online Plagiarism Checker

უარი თქვი პლაგიატზე!!!

იკითხე ბევრი !!!

იყავი ორიგინალური !

წერე შენი სიტყვებით !

ისწავლე და შექმენი სიახლე !!!

2018
ახალციხე